# თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

## 2015

24 სექტემბერი – 8 ოქტომბერი
საერთაშორისო პროგრამა
პროგრამა “New”

5 – 8 ოქტომბერი
ქართული სპექტაკლების პროგრამა



www.tbilisiinternational.com



თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

www.tbilisiinternational.com

# სარჩევი


4 **ფესტივალის პარტნიორები და სპონსორები**
6 **ფესტივალის შესახებ**
8 **საერთაშორისო პროგრამა**
11 ქალაქი
14 გაქვავებული
16 ფსკერზე
20 კააში
26 ღმერთები დაეცნენ, ვინლა დაგვიცავს
28 ქარიშხალი
30 ჰამლეტი
32 ხალხის მტერი
39 **პროგრამა "New"**
40 გილგამეში
42 მამის გარეშე
44 მარია დიდი ქალაქიდან
48 სასოწარკვეთილების ზღვარზე
50 **საქართველოს შეიარაღებული ძალების ეროვნული გვარდიის სამხედრო ორკესტრი**
53 **გამოფენები:**
53 ანანო მოსიძე
54 ნინო სურგულაძე
55 ანუკა მურვანიძე
57 **რეზო გაბრიაძის თეატრი -** წიგნის პრეზენტაცია
58 **ფესტივალის კლუბი კაფე „ივერია“**
60 **ვორკშოფები**
62 **ქართული სპექტაკლების პროგრამა**
66 **მასპინძელი თეატრები**
66 **ინფორმაცია ბილეთების შესახებ**
67 **ფესტივალის გუნდი**


# CONTENT


4 **Festival partners and sponsors**
6 **About Festival**
8 **International program**
11 The City
14 Numb
16 The Lower Depths
20 Kaash
26 Gods are fallen and all safety gone
28 A Tempest
30 Hamlet
32 An Enemy of the people
39 **Program "New"**
40 The concert "Gilgamesh"
42 Fatherlessness
44 Mary from the Metropolis
48 Rejoice
50 **National Guards Military Orchestra**
53 **Exibitions:**
53 Anano Mosidze
54 Nino Surguladze
55 Anuka Murvanidze
57 **Rezo Gabriadze Theater** Presentation of the Book
58 **Festival club cafe "Iveria"**
60 **Workshops**
62 **Georgian Showcase**
66 **Host theater box offices**
66 **Information about tickets**
67 **Festival Team**

# თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2015

ფესტივალის ინიციატორი და მასპინძელი
Tbilisi International Festival of Theatre is Initiated and Hosted by

ფესტივალის მხარდამჭერი
Festival's Main Supporter

საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო

განსაკუთრებული მადლობა
JTI-ს მხარდაჭერისთვის
Special thanks to JTI for generous support

ფესტივალის ოფიციალური მასპინძელი სასტუმრო
Official Host Hotel

ROOMS HOTEL

• TBILISI •

ინიციატორები, მასპინძლები, პარტნიორები და მეგობრები -
ყველა იმსახურებს ჩვენს გულითად მადლობას.
მათ გარეშე ფესტივალი ვერ შედგებოდა...

**Founders, partners and festival friends –**
**all deserve OUR GRATEST THANKS!**
**Without their support the FESTIVAL would not have been possible!**

## ფესტივალის პარტნიორები და მეგობრები დაარსების დღიდან
## Our partners and friends since first days

## საერთაშორისო და პროექტის პარტნიორები
## International and Project Partners

## ფესტივალის პარტნიორები | Festival Partners

## საინფორმაციო მხარდაჭერა | Media Support

## ფესტივალის კლუბი | Festival Club



სტატისტიკა. მონაცემები და ციფრები – ამ მოკლე და აუცილებელი წინასიტყვეობის მთავარ ამბად მინდა ვაქციო. ციფრები - ჩვენ ვითვლით! ვითვლით არა მარტო მაყურებლის და სპექტაკლების რაოდენობას, არა მარტო ქართული პროგრამის სტუმრების რაოდენობას, რაც წელს უპრეცენდენტოა და 83 ადამიანს მიაღწია , არა მარტო დაფინანსების წყაროებს და შესაძლებლობებს - ეს ციფრები პოტენციურ მომავალს გვკარნახობს და „ნატიფ რეალობასაც“. ასე დავიწყეთ თავიდანვე. თავიდანვე ვიცოდით რა უნდა ყოფილიყო ჩვენი „backstage” და ციფრები მათ შორის გადამწყვეტია.

მაშ ასე:

მაყურებლის რაოდენობა 2009 – 2014 წელი – 39 900

ქართული სპექტაკლების პროგრამა, სტუმრების რაოდენობა 2009 წელს – 46

ქართული სპექტაკლების პროგრამა 2015 - სტუმრების რაოდენობა – 83

საერთაშორისო პროგრამაში სპექტაკლების რაოდენობა 2009 – 2014 – 123 სპექტაკლი

საერთაშორისო პროგრამაში მონაწილე ადამიანების რაოდენობა (კომპანიების და ინდივიდი არტისტების მიხედვით) 2009-2014 – 3000 ადამიანი.

ეს მხოლოდ მცირედი და მხოლოდ ძირითადი.
7 წელი არაა გარდამტეხი წელი ფესტივალის განვითარებისათვის. ფესტივალისათვის ყოველი წელი გარდამტეხია, რადგან ჩვენ „რეალობის ნატიფი გრძნობით“ ვხელმძღვანელობთ და რეალობა კი მუდმივად ახალს „გთხოვს“ სწორედ რომ რეალობის გამო.
რეალობა კი შემდეგია: დრო გარბის; კავშირი – უმოწყალოდ მარტივი და სწრაფი გახდა; სამყარო ცდილობს უფრო ჰუმანური გახდეს გამაოგნებელი სისასტიკის საპასუხოდ; ადამიანები ნელ-ნელა ვარსკვლავებს ნაკლებად ამჩნევენ და ჩვენი ფართო და შორს წასული აზრები და ოცნებები ნელ-ნელა ციფრებში იკარგება ან უფრო მეტიც – ყოველდღიურობაში; არადა, ისიც მუდმივად გვახსოვს, რომ ცხოვრება სითამამეს გვთხოვს.
ამიტომაც გადავწყვიტე ციფრები მომეყვანა იმის საფუძვლად თუ „რა უნდა ფესტივალს“ და ასეთი პასუხი გამეცა – რას „ითვლის ფესტივალი“: ჩვენ ვითვლით ზუსტად იმას თუ რამდენი მივყვებით „გზას, რომელიც მხოლოდ არტისტების სითამამეს ემორჩილება....“ რამდენი ადამიანი „იფიქრებს იმაზე, რასაც აქამდე თქვენი აზრი მხოლოდ მსუბუქად შეეხო; სწორედ თეატრი შეგვახსენებს ყველაფერს, რაც ჩვენს ყურადღებას გამორჩა; თქვენს ოცნებებსა და აზრებს სითამამე შეემატება , ხოლო საუკეთესო მისწრაფებები კიდევ უფრო მყარი გახდება...“
რამდენი მოისურვებს შეიცნოს უცნობი და მთვარის მეორე მხარე დაინახოს ჩვენთან ერთად ; ეს ის ციფრია, რომელიც სამყაროს დიდი შანსია, რომ სამყაროს უკეთესს გახდის. და აქაც შეგახსენებთ, რომ 39 000 ლიმიტი არაა, ეს მხოლოდ ჩვენი დარბაზების სკამების ლიმიტია.
**ფესტივალის ციფრები – ეს მოკლე და ძალიან ძირითადი სტატისტიკა აგრეთვე ის პოტენციაა, რაც მუდმივ განვითარებასაც ითხოვს.**
და ამიტომაც ფესტივალს მუდმივად ექნება ახალი ინიციატივები:

2010 წლიდან - საერთაშორისო კრიტიკოსთა ასოციაციასთან თანამშრომლობა

2011 წლიდან - პროგრამა „NEW”

2011 წლიდან - ევროპის თეატრების ასოციაციის წევრობა

2010 წლიდან კო-პროდუქციები და ფესტივალის პრემიერები

2014 წლიდან - კავკასიისა და შავი ზღვის საშემსრულებლო ხელოვნების ბაზარი (ბიენალე)
და ბოლოს – ეს ციფრები აღნიშნავს იმას , რაც ჩვენი დიდი უპირატესობაა ნებისმიერ დროსა და სიტუაციაში – ჩვენი, მაყურებლების, მეგობრების, სპონსორების, არტისტების, თბილისის – თბილისს შეუძლია გახდეს კულტურული ცენტრი, მოიზიდოს ადამიანები და შექმნას ის შემოქმედებითი კაპიტალი, რომლის ღირებულება განუსაზღვრელია .
მაშ ასე, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი – კვლავ „სხვა რეალობას“ გთავაზობთ და მეშვიდე ცხოვრებას იწყებს.

*ეკატერინე მაზმიშვილი*, ფესტივალის დირექტორი

ფესტივალი იწყება, იწყება მისი მეშვიდე სიცოცხლე.
ის დიდი შრომის, ფიქრის, ზრუნვის ნაყოფია.
სიყვარულით შექმნილი, სიყვარულით მაყურებლის და თეატრის მიმართ.
ყველაფერი მზად არის. ახლა მუზების და მთავარი მსაჯულის დრო დგება!

*მიხეილ ჭკუასელი*
*„გეოპლანტი“, გენერალური დირექტორი*



# თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

**www.tbilisiinternational.com**

ჩემთვის თბილისის თეატრალური ფესტივალი არა მხოლოდ თეატრალური სიახლეებისგან მიღებული შთაბეჭდილებების ერთობლიობა, არამედ ერთფეროვანი, ხშირად დამთრგუნველი, პოლიტიკითა და პრობლემებით გადატვირთული რეალობიდან დროებითი გაქცევის საშუალებაა.
ასევე, ესაა სივრცე, სადაც უაღრესად მნიშვნელოვანის, საინტერესოს და პროცესში არსებულის ნაწილად გრძნობ თავს.
და არა უმნიშვნელო, უინტერესო და პროცესების მიღმა არსებული რეალობის ნაწილად.

*ლაშა ბუღაძე, მწერალი, დრამატურგი*

დღეს, როცა სიტყვებს აღარ აქვს აზრი... დღეს,როცა ჟესტი გრძნობიდან აღარ იბადება... დღეს,როცა სხვას ვამბობთ,სხვას ვფიქრობთ და სხვა რამეს ვაკეთებთ...
სწორედ დღეს არის აუცილებელი თეატრი ისე, როგორც არასდროს, რადგან ალბათ მხოლოდ მას შეუძლია მიუახლოვდეს,ჩაწვდეს და ახალი თეატრალური ენით ახსნას ის აბსურდული პირობითობა, რომელშიც ჩვენ ვიმყოპებით...
ეს თეატრალური ენა ახლა იბადება, აქ ამ წუთას,ჩვენ თვალწინ და აუცილებელია უნივერსალური იყოს ის უნდა ესმოდეს ყველა ეროვნების მოქალაქეს განურჩევლად ასაკისა და სქესისა.
უნივერსალური ენის არსებობა წარმოუდგენელია კომუნიკაციის გარეშე,საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვით, სწორედ ამაში გვეხმარება თბილისის ფესტივალი. ის აუცილებელია იმისთვის, რომ მომავალში ქართულმა თეატრმა იარსებოს, შექმნას ახალი და გასცდეს საზღვრებს. მაქვს იმედი, რომ ამ ფესტივალს დიდი ხნის სიცოცხლე უწერია და ჩვენ თუ არა, ახალგაზრდები მაინც მოძებნიან ახალ თეატრალურ ენას.

*დავით დოიაშვილი, რეჟისორი*

უკვე მერამდენედ - სხვანაირად და სხვა განწყობით ველოდებით შემოდგომას. უკვე მე-7 წელია, სექტემბერს თბილისში სხვა მნიშვნელობა და აზრი გაუჩნდა. უკვე მე-7 წელია, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი იმართება, რაც ცოტა ხნით მაინც ცვლის ჩვენს სინამდვილეს და სიხარულს გვანიჭებს. ყველა პირობას გვიქმნის, ვიცხოვროთ თეატრის მშვენიერ და მრავალფეროვან სამყაროში, სადაც მუდმივი, უწყვეტი დღესასწაულია, მაშინაც კი, როდესაც ბევრი რამ მის მიღმა არც ისე მშვენიერია.
თბილისის საერთაშორისო ფესტივალი რეალობის ის დიდებული „გადაცვლაა“ , რასაც უყოყმანოდ თანხმდები და რომლის მოლოდინში ათას გეგმას აწყობ, ათასი სპექტაკლის ჩამოტანა-ნახვაზე ოცნებობ. ოცნებები გისრულდება და ახალ აღმოჩენებსაც აკეთებ. ახალ სახელებსაც ეცნობი. მანამდე არნახულსა და არგაგონილს. მსოფლიოს ყველა კუთხიდან. ნანატრი და მოულოდნელი შეხვედრებითაც ბედნიერი ხარ. შენი თეატრითაც თავს იწონებ. თამამად აჩვენებ სხვებს ქართულ სპექტაკლებს, რადგან იცი - შენი თეატრი არსებობს და ყველას გინდა შეატყობინო ამ და ასეთი არსებობის შესახებ.
მადლიერი ხარ იმ ადამიანების - საფესტივალო გუნდის, ეკა მაზმიშვილის ხელმძღვანელობით - რომელიც შეუძლებელსაც აკეთებს, რომ ეს ყველაფერი მოხდეს, რომ კულტურის საზღვრები უფრო გაიხსნას და შენი ქვეყანა სხვა ქვეყნების განუყოფელ ნაწილად იქცეს. ყველაფერს აკეთებს დღესასწაულის მოსაწყობად და გასაგრძელებლად.

*ლელა ოჩიაური, ხელოვნებათმცოდნე*

უკვე მეშვიდე წელია თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი გახდა სივრცე სახალხო დისკუსიისთვის ურთულეს თემებზე, ერთგვარი ფანჯარა უცხოურ თეატრში და უნიკალური შესაძლებლობა, რათა დავაკვირდეთ ქართულ თეატრში მიმდინარე პროცესებს.
მნიშვნელოვანია, რომ ფესტივალის პროგრამის შედგენისას გათვალისწინებულია საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური, ან სულაც სახელოვნებო კონტექსტი, რის გამოც იგი წარუშლელ გავლენას ახდენს, როგორც ჩვენი საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ისე ქართულ თეატრზე. იგი გვთავაზობს ჩვენი დროის იმ სურათებს, რომლებზეც უნდა ვიფიქროთ, თვალი გავუსწოროთ, ვილაპარაკოთ, თანავუგრძნოთ და გვახსოვდეს.
წლევანდელი ფესტივალის პროგრამა გამორჩეულია იმ სპექტაკლებით, რომლებიც სწორედ ამგვარი დისკუსიისაკენ გვიბიძგებენ: სადაც მაყურებელი უშუალოდ ჩაებმება დებატში მსახიობთან სპექტაკლში „ხალხის მტერი“ (ბერლინის „შაუბიუნე“), სადაც ავად-აქტუალურ, ან მარადიულ თემებს განსხვავებულ კულტურათა პერსპექტივებიდან დავინახავთ აქრამ ჰანის კომპანიის ეგზოტიკურ და ესთეტიკურად მდიდარ სპექტაკლში „კააში“, სადაც ექსპერიმენტული ფორმები, სხვადასხვა ენები, კლასიკური თუ თანამედროვე დრამა, ცეკვა თუ მუსიკა მაინც ერთადერთი საკითხის გარშემო გაერთიანდებიან, რომელსაც არ სჭირდება თარგმნა: რას ნიშნავს აღმოჩნდე გამოუვალ სიტუაციაში და დარჩე ადამიანად.

*დათა თავაძე, რეჟისორი*

გილოცავთ თბილისის საერთაშორისო ფესტივალის გახსნას...
მეშვიდე წელია თეატრალები დიდი სიხარლით ველოდებით ამ დღის დადგომას, რადგან კიდევ ერთხელ ვნახოთ მსოფლიოს საუკეთესო თეატრალური დასების სპექტაკლები და (რაც მთავარია) თანამედროვე თეატრალური ტენდენციები.
თეატრი კვდება მაშინ, როდესაც ის იკეტება საკუთარ ნაჭუჭში, სწორედ ამიტომ, განსაკუთრებულად მნიშჭნელოვანია ასეთი ფესტივალის არსებობა ჩვენს ქალაქში.
მიხარია, რომ წინ მრავალი დღე-სასწაული გველოდება

*ნიკოლოზ წულუკიძე,*
*საქართველოს თეატრალურ კრიტიკოსთა კავშირის თავჯდომარე,*
*თეატრმცოდნე*

# საერთაშორისო პროგრამა 2015
# INTERNATIONAL PROGRAM 2015

**24.09 - 8.10**

| თარიღი | სპექტაკლი | თეატრი | ადგილი | დრო | ხანგრძლივობა |
|---|---|---|---|---|---|
| 25-26.09 | **ქალაქი**<br>ჰიპ-ჰოპ ოპერა | თეატრი ინკუბატორი, ისრაელი | მარჯანიშვილის თეატრის სარდაფი | 20:00 | 75 წუთი, შესვენების გარეშე |
| 28.09 | **გაქვავებული**<br>თანამედროვე ცეკვა | ცეკვის თეატრი „სოსანი“, გერმანია | მარჯანიშვილის თეატრი, დიდი სცენა | 20:00 | 70 წუთი, შესვენების გარეშე |
| 30.09 | **ფსკერზე**<br>დრამა | ვილნიუსის საქალაქო თეატრი, ლიტვა | მარჯანიშვილის თეატრი, დიდი სცენა | 20:00 | 60 წუთი, შესვენების გარეშე |
| 2.10 | **კააში**<br>ცეკვა | აქრამ ჰანის კომპანია, დიდი ბრიტანეთი | გრიბოედოვის თეატრი, დიდი სცენა | 20:00 | 55 წუთი, შესვენების გარეშე |
| 2-3.10 | **ღმერთები დაეცნენ, ვინლა დაგვიცავს**<br>დრამა | Greyscale, დიდი ბრიტანეთი | მარჯანიშვილის თეატ-რი, ვასილ ყუშიტაშვილი სარეპეტიციო სივრცე | 18:00 | 50 წუთი, შესვენების გარეშე |
| 4.10 | **ქარიშხალი**<br>დრამა | კრაიოვას მარინ სორესკუს ეროვნული თეატრი, რუმინეთი | რუსთაველის თეატრი, დიდი სცენა | 20:00 | 125 წუთი, ორ მოქმედებად |
| 5.10 | **ხალხის მტერი**<br>დრამა | Schaubühne am Lehniner Platz | მარჯანიშვილის თეატრი, დიდი სცენა | 20:00 | 150 წუთი, ორ მოქმედებად |
| 5.10 | **ჰამლეტი**<br>დრამა | შექსპირის თეატრი გლო-ბუსი, დიდი ბრიტანეთი | მუშთაიდის პარკი | 20:00 | 170 წუთი, ორ მოქმედებად |

## პროგრამა NEW

| თარიღი | სპექტაკლი | თეატრი | ადგილი | დრო | ხანგრძლივობა |
|---|---|---|---|---|---|
| 25.09 | **გილგამეში**<br>ეპოსი | თეატრი ,,ქორეა“, პოლონეთი | სამეფო უბნის თეატრი | 18:00 | 60 წუთი, შესვენების გარეშე |
| 26.09 | **მამის გარეშე**<br>დრამა | მოსკოვის დრამის თეატ-რი „სფერო“, რუსეთი | მარჯანიშვილის თეატრი, დიდი სცენა | 18:00 | 120 წუთი, ორ მოქმედებად |
| 29.09 | **მარია დიდი ქალაქიდან**<br>საკონცერტო | ანამარია ლანგი და Barefoot Musicians Production-ი, უნგრეთი | მარჯანიშვილის თეატრის სარდაფი | 20:00 | 60 წუთი, შესვენების გარეშე |
| 1.10 | **სასოწარკვეთილე-ბის ზღვარზე**<br>თანამედროვე ცეკვა | Kari Hoaas პროდუქცია, ნორვეგია | კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრი | 20:00 | 70 წუთი, შესვენების გარეშე |

| Date | Performance | Theatre | Venue | Time | Duration |
|---|---|---|---|---|---|
| **25-26.09** | **The City –** | Incubator Theatre, Israel | Kote Marjanishvili State Drama Theatre, The Basement | 20:00 | 75 minutes, without intermission |
| **28.09** | **Numb** | Sosani Dance Theatre, Germany | Kote Marjanishvili State Drama Theatre, Big Stage | 20:00 | 70 minutes, without intermission |
| **30.09** | **The Lower Depths** | OKT/ Vilnius City Theatre, Lithuania | Kote Marjanishvili State Drama Theatre, Big Stage | 20:00 | 60 minutes, without intermission |
| **2.10** | **Kaash** | Akram Khan Company, UK | Alexander Griboedov State Drama Theatre, big stage | 20:00 | 55 minutes, without intermission |
| **2-3.10** | **Gods Are Fallen and All Safety Gone** | Greyscale, UK | Kote Marjanishvili State Drama Theatre | 18:00 | 50 Minutes, without intermission |
| **4.10** | **Tempest** | "Marin Sorescu" National Theatre of Craiova, Romania | Shota Rustaveli State Drama Theatre, Big Stage | 20:00 | 125 minutes, with one intermission |
| **5.10** | **An Enemy of the People** | Schaubuehne, Germany\ | Kote Marjanishvili State Drama Theatre, Big Stage | 20:00 | 150 minutes, with one intermission |
| **5.10** | **Hamlet** | Shakespeare's Globe, UK | Musthaidi Park | 20:00 | 170 minutes, with one intermission |

## PROGRAM NEW

| Date | Performance | Theatre | Venue | Time | Duration |
|---|---|---|---|---|---|
| **25.09** | **Gilgamesh** | Chorea Theatre, Poland | Royal District Theatre | 18:00 | 60 minutes, without intermission |
| **26.09** | **Fatherlessness** | The Moscow drama theater "Sphera", Russia | Kote Marjanishvili State Drama Theatre, Big Stage | 18:00 | 120 minutes, with one intermission |
| **29.09** | **Mary from the Metropolis** | Annamária Láng & Barefoot Musicians Production, Hungary | Kote Marjanishvili State Drama Theatre, The Basement | 20:00 | 70 minutes, without intermission |
| **1.10** | **On The Desperate Edge of Now** | Kari Hoaas Productions, Norway | Kakha Bakuradze Movement Theatre | 20:00 | 70 minutes, without intermission |




**www.tbilisiinternational.com**

## "ვისოლ ჯგუფი"

"ვისოლ ჯგუფის" განვითარების ისტორია 14 წლის წინ ნავთობპროდუქტების რეალიზაციით დაიწყო. დღესდღეობით "ვისოლი" უკვე ერთ-ერთი უდიდესი ბიზნეს ჯგუფია საქართველოში, რომელმაც არა მხოლოდ ენერგეტიკის თითქმის ყველა სფერო მოიცვა, არამედ სამშენებლო, სარეკლამო, სასტუმროების, სუპერმარკეტებისა და ამერიკული რესტორნების ქსელის ბიზნესსაც ანვითარებს.

## Wissol Group

The development of Wissol Group began 14 years ago with fuel retail business. Nowadays Wissol is one of the largest business groups in Georgia, which leads not only entire energy sector, but also develops construction, advertising and hospitality business, supermarket chain and franchises of major American restaurant chains.

# MEMBERS OF WISSOL GROUP

| | |
|---|---|
| "ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯია" | Wissol Petroleum Georgia |
| ავტომომსახურების ქსელი "ვიანორი" | Network of Vianor auto-services |
| სუპერმარკეტების ქსელი "სმარტი" | Supermarket chain Smart |
| ამერიკული რესტორნების ქსელი "ვენდის" | American restaurant chain Wendy's |
| ამერიკული რესტორნების ქსელი "დანქინ დონატსი" | American restaurant chain Dunkin' Donuts |
| უძრავი ქონების კომპანია "ველაჯიო" | Real estate company Vellagio |
| სარეკლამო კომპანია "ალმა" | Advertising company Alma |

www.wissol.ge




25.09 - 26.09

## ქალაქი
მიუზიკლი

ამიტ ულმანი, ომერ ჰავრონი,
ომერ მორი
თეატრი ინკუბატორი,
ისრაელი

## THE CITY
Musical

Amit Ulman, Omer Havron,
Omer Mor
Incubator Theater, Israel

ხანგრძლივობა: 75 წუთი
რეჟისორი: ომერ მორი
კომპოზიტორი: ომერ მორი
სცენოგრაფია: ანსამბლი
ქორეოგრაფი: ანსამბლი
მუსიკალური გაფორმება:
ვიქტორ ჯეკსონის ბენდი
ფოტოგრაფი: გაია

მონაწილეობენ:
ამიტ ულმანი, ომერ ჰავრონი,
ომერ მორი, დორით ლილიენი,
რონი როკეტი

Duration 75 Minutes
Directed by Omer Mor
Composer Omer Mor
Designer The Ensemble
Choreographer The ensemble
Music Adapted by Victor
Jackson Band
Photographer Gaya

Cast:
Amit Ulman, Omer Havron, Omer
Mor, Dorit Lilien, Roni Rocket



## თეატრის შესახებ

თეატრი ინკუბატორი 2005 წელს გაიხსნა ისრაელში ბერაჩას ფონდის (Beracha Foundation) დახმარებით როგორც პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა იერუსალიმში ორიგინალური თეატრისათვის ინფრასტრუქტურის შექმნას, მსახიობებისა და თეატრის პროფესიონალებისათვის ქალაქში თვითდამკვიდრებას. ბოლო ცხრა წლის განმავლობაში თეატრმა განახორციელა 30 სპექტაკლი, რომელიც 1500-ჯერ წარმოადგინეს, მათ შორის, სატელევიზიო სერიალი ისრაელის მე-10 არხზე.
თეატრის მიზანია მნიშვნელოვანი მოთამაშე გახდეს კულტურული ცხოვრების ცვლილებების პროცესში იერუსალიმში - იგი თვლის, რომ აქტიური მამოძრავებელი ძალაა ურბანული კლიმატის მრავალფეროვნებისა და გახსნილობისაკენ.

## სპექტაკლის შესახებ

„ქალაქი“ პირველი ებრაული მიუზიკლია ებრაული რეპ მუსიკით. სპექტაკლი მოგვითხრობს დეტექტივ ჯოს ამბავს, რომელსაც სარა ბენეტი დაიქირავებს თავისი დაკარგული დის მოსაძებნად. ჯო ისეთ გადაწყვეტილებას იღებს ამ საქმესთან დაკავშირებით, რომ ეს შეიძლება მას სიცოცხლის ფასად დაუჯდეს.



## ABOUT THEATER

The Incubator Theater began operating in 2005 with the support of the Beracha Foundation as a project whose main objective was to build an infrastructure for original theater in Jerusalem, and enable actors and theater professionals to establish themselves in the city.
During the past nine years, the Theater has put on more than 1,500 shows from 30 original productions and plays, including a television series on Channel 10.
The Theater aims to be a significant agent of cultural change in Jerusalem and an active force in developing an urban climate of pluralism and openness that accommodates a wide spectrum of opinions and world views.

## ABOUT PERFORMANCE

“The City” is the first Hebrew rap musical, telling the story of detective Joe. Sarah Bennet hires Joe’s services in the case of her missing sister. Joe takes on the case, a decision that can cost him his life.
Created by the “Victor Jackson Show Ensemble”


სამაუწყებლო კომპანია
რუსთავი 2
RUSTAVI2.COM



28.09

## გაქვავებული
თანამედროვე ცეკვა

ცეკვის თეატრი „სოსანი“, გერმანია

## NUMB
Contemporary dance theatre

Sosani Dance Theatre, Germany

ხანგრძლივობა: 70 წუთი (შესვენების გარეშე)
ქორეოგრაფი და სცენოგრაფი: თეა სოსანი
კომპოზიტორი: შერეული მუსიკა
მხატვარი: თეა სოსანი
ტექნიკური დირექტორი: გიორგი სოსანი
ფოტო: ჰუბერტ ლანკესი

მონაწილეობენ:
ბიტამა დარუიში, იულია კოდერერი, რამონა რაისაუსი, პაშა დარუიში, პატრიკ ბაიერი

Duration 70 min. without intermissions
Directed by Thea Sosani
Composer Mixed
Set Designer Thea Sosani
Choreographer Thea Sosani
Technical Director George Sosani
Photographer Hubert Lankes

Cast:
Dancers: Bitama Darouiche, Julia Koderer, Ramona Reissaus, Pasha Darouiche, Patrick Bayer



## ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

2010 წელს თეა და გიორგი სოსანებმა გერმანიის ქალაქ რეგენსბურგში დააფუძნეს ცეკვის თეატრი “სოსანი”. 2013 წელს, კი მათ შექმნეს “სოსანი არტზონა” - თანამედროვე ცეკვის თეატრისა და პერფორმანსის საერთაშორისო სივრცე. სოსანი არტზონა მოცეკვავეების, მსახიობების, ქორეოგრაფებისა და ხელოვნების სხვა წარმომადგენლების პლატფორმაა მათი კონცეპტუალური პროექტების რეალიზაციისთვის. არტზონა მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას: ცეკვის თეატრი; ცეკვისა და თეატრალური ხელოვნების სკოლა; პროექტების ზონა. სამივე მათგანი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. ცეკვის თეატრის ყველა მოცეკვავეს გავლილი აქვს “სოსანი” არტზონასთან არსებული ცეკვისა და თეატრალური ხელოვნების ორწლიანი სკოლა. რეჟისორი და ქორეოგრაფი თეა სოსანი მოცეკვავეებთან სპეციფიური მეთოდით მუშაობს. მათ წარმოდგენებს გამორჩეული ცეკვის ენა აქვს.

## ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

„გაქვავებული“ თანამედროვე ცეკვის თეატრის წარმოდგენაა, რომელსაც დახვეწილი სხეულის ენით, ძლიერი ენერგიითა და თავისებური ინტერპრეტაციით მაყურებლის მოჯადოება სურს. სამი განსხვავებული ხასიათის ქალი, ბავშვობიდან გამოყოლილი ისტორიებით, რომელიც სავსეა ტანჯვით, სიყვარულის ნაკლებობით და იმედგაცრუებით. სამი გაუთხოვარი ქალი და ერთი მამაკაცი. სამი ისტორია, რომელიც ბოლოს ერთმანეთში იხლართება – ესაა თემატური ხერხემალი, რაზეც აგებულია სპექტაკლი “გაქვავებული”.

## ᲞᲠᲔᲡᲐ

„ეს არის ვირტუოზული და შთამბეჭდავი ქორეოგრაფია, რომელიც მსუბუქი იუმორით, გრძნობებით და ვნებით არის სავსე.

„მიტელბაიერიშე ცაიტუნგ“



## ABOUT THEATER

In 2010 Thea and George Sosani founded the „Sosani Dance Theatre“. In addition they established an international zone for dance theatre and performance named „Sosani Art Zone“ in Regensburg, Germany. This Art zone is a plattform for dancers, independent actors, choreographers and other artists to come together and to introduce their conceptual works.
The „Sosani Art Zone“ is classified in three areas: „Sosani Dance Theatre“, Education zone, Project zone. These three areas are closely interwinded with each other.

## ABOUT PERFORMANCE

„Numb“ is a contemporary dance play which would like to enchant the audience with a subtle, honest and vivid interpretation especiallly with the language of the body.
Three women, three different characters, with an unmastered past of their childhood in which it stinks of suffering, insensitivity, betrayal and blind obedience: unmarried women and men. This would describe the thematic basis on which the dance performance „Numb“ builds on.
The spectator may recognize and discover himself in all this well-known self experienced emotions.

## PRESS

A perfect implementation which is virtuosic and utterly expressive, coevally accompanied by coruscating humor and powerful expression.

„Mittelbayeriche Zeitung“

Embassy of Republic of Lithuania
in Georgia



OKT VILNIUS CITY THEATRE

LIETUVOS KULTŪROS TARYBA

**30.09**

## ᲤᲡᲙᲔᲠᲖᲔ
დრამა

მაქსიმ გორკი
ვილნიუსის საქალაქო
თეატრი, ლიტვა

## THE LOWER DEPTHS
Drama

Maxim Gorky
OKT/Vilnius City Theatre,
Lithuania

ხანგრძლივობა: 60 წუთი
(შესვენების გარეშე)
რეჟისორი: ოსკარას კორშუნოვასი
კომპოზიტორი: ანტანას იასენკა
სცენოგრაფი: დაინიუს ლიშკევიჩიუსი
ფოტოგრაფი: დმიტრიუს მატვეიევასი

მონაწილეობენ:
დაინიუს გავენონიდი, რასა სამუოლვტე, დარიუს გუმაუსკასი, იულიუს ზალაკევიჩუსი, დარიუს მეშკაუსკასი, იონას ვერსეჩკასი, ტომას ზაიბუსი, გიედრიუს სავიჩკასი, ნელე სავიჩენკო, რიტის სალადჟიუსი

Duration 60 min. without intermissions
Directed by Oskaras Koršunovas
Composer Antanas Jasenka
Scenography Dainius Liškevičius
Photographer Dmitrijus Matvejevas

Cast:
Dainius Gavenonis, Rasa Samuolytė, Darius Gumauskas, Julius Žalakevičius, Darius Meškauskas, Jonas Verseckas, Tomas Žaibus, Giedrius Savickas, Nelė Savičenko, Rytis Saladžius


ROOMS HOTEL
• TBILISI •
Designed to inspire your senses
www.roomshotels.com
www roomsgazette.com
tbilisi@roomshotels.com
Tel: +995 32 2020099
A MEMBER OF DESIGN HOTELS™

## ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ოსკარ კორშუნოვასის თეატრი (ამჟამად ატარებს სახელს -OKT / ქალაქ ვილნიუსის თეატრი) დაარსდა 1998 წელს. დაარსებიდანვე იგი დამოუკიდებელ თეატრად მოიაზრებოდა. ახლადდაარსებულ თეატრს არ ჰქონდა არც სტაბილური შემოსავალი, არც ოფისი და არც სარეპეტიციო დარბაზი. თავისი ნამუშევრის საჩვენებლად კი არ გააჩნდა სივრცე. ოსკარ კორშუნოვასის თეატრს სურდა გაეწყვიტა ყოველგვარი კავშირი იმდროინდელ თეატრალურ სამყაროსთან და შეექმნა სრულიად ახალი რეალობა, სადაც ილაპარაკებდნენ თანამედროვე თეატრის ენაზე.
ოსკარას კორშუნოვასის თეატრის სარეპერტუარო სტრატეგია თანამედროვე და  კლასიკური დრამატურგიის მიზანმიმართული ერთიანობაა და არა ცალკეული სპექტაკლები და პროექტები. თეატრის კრედოდ განისაზღვრა შემდეგი:  კლასიკური დრამატურგია უნდა დაედგათ, როგორც თანამედროვე, ხოლო თანამედროვე პიესებს წარმოადგენენ, როგორც კლასიკას.
თეატრი ბევრს მოგზაურობს მსოფლიოში.  ამიტომაც თეატრისა და მისი რეჟისორის  დევიზია : „მხოლოდ,, იქ“  ყოფნისას  ვრჩებით „აქ“.

## ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

მაქსიმ გორკის პიესა „ფსკერზე“  ლაბორატორიული მუშაობის მაგალითია. იგი თეატრის უჩვეულო სტუდიაშია შექმნილი და დღემდე არ ჩამოდის სცენიდან.
სპექტაკლი „ფსკერზე“ არის ლაბორატორია, სადაც ცდებს საკუთარ თავზე ვატარებთ. „ფსკერზე“ ის სპექტაკლია, რომელშიც არ ვართ ორიენტირებული შედეგზე, არამედ ვცდილობთ აღმოვაჩინოთ საკუთარი თავი. მსახიობებმა არა მხოლოდ გმირი უნდა განასახიერონ, არამედ უნდა შეინარჩუნონ რეალობა და დარჩნენ ისეთებად, როგორებიც რეალურ ცხოვრებაში არიან. მაქსიმ გორკის ტექსტი მხოლოდ მაშინ არის შესაბამისი, როდესაც მსახიობი პიესის გმირს საკუთარ ნიადაგში ჩანერგავს და საკუთარ გამოცდილებაზე დააფუძნებს. სწორედ, ეს არის ამ ლაბორატორიის მიზანი. მსახიობის პიროვნება უნდა შეერწყას იმ გმირის ხასიათს, რომელსაც განასახიერებს და შექმნას ახალი პერსონაჟი. სწორედ, ამიტომ ავირჩიეთ განსაკუთრებული სივრცე და  თავიდან მოვიშორეთ სიუჟეტი და თხრობა.

ოსკარას კორშუნოვასი

## ᲞᲠᲔᲡᲐ

აუცილებლად უნდა ნახოთ ოსკარ კორშუნოვასის მიერ დადგმული სპექტაკლი. მოემზადეთ მსახიობებთან ურთიერთობისთვის, დატკბით მათი ერთობლივი, თუ  ინდივიდუალური ოსტატობით. ეს არის მართლაც საოცრად ნიჭიერი მსახიობების გუნდი. კორშუნოვასი ხომ მხოლოდ ასეთებთან თანამშრომლობს.
რიდას ვისკაუსკასი,
„ლიტერატურა ირ მენას“.



## ABOUT THEATER

Established in 1998, Oskaras Korsunovas Theatre (currently bearing the name of OKT / Vilnius City Theatre) from the outset was determined to remain independent. Such a risk certainly did not come without sacrifices: the newly established theatre did not have a stable source of income, offices, or rehearsal spaces necessary for efficient and creative work; neither did it have a permanent performance venue to present its productions on a regular basis. This daring step was taken for a single reason: OKT firmly decided to cut all relations with the theatrical reality of that time and create a new reality based on a contemporary theatre language.
It is also important that while remaining independent, Oskaras Korsunovas Theatre has always referred to a purposeful strategy of artistic program. Rather than producing disparate projects, it created a strong repertory embracing both contemporary dramaturgy and classical works.  The main credo of the OKT repertory is the following: to produce contemporary dramaturgy as classical, and to present classical works as if it were contemporary dramaturgy.
The tours in international festivals, performances and projects in foreign theatres encompass the United States, South Korea, Australia, Argentina, and the territory in between. Hence, the motto of the director and his theatre: only being “there” can we stay “here.“

## ABOUT PERFORMANCE

“The Lower Depths” by Maxim Gorky – an absolute example of theatrical laboratory, which was created in the unusual space of the OKT studio, still continues to be shown there.

„The Lower Depths“ is a laboratory where we are the ones on whom experiments are carried out. This is our first theatrical performance, in which we don’t concentrate on the result, but seek to test and discover ourselves, so that the actors not only create their characters, but also retain the reality and remain themselves. Gorky’s text becomes relevant only when the actor is able to grow his or her character in his or her soil, so to speak, basing it on his or her own experience. This is the highest aim of the laboratory. It is an intersection between the actor’s personality and the character he or she is creating, a stranger. Therefore, we have chosen a special space and got rid of the storyline and plot.
Director Oskaras Korsunovas

## PRESS

It is recommended to go to see “The Lower Depths” directed by Oskaras Korsunovas….. (be)  ready to intensely communicate with the actors, admire their ensemble and individual mastery of each of them. It is a team of really talented actors (Korsunovas does not work with those who are not). („Actors are the Priority!“, Ridas Viskauskas, Literatūra ir menas, 7 January 2011)


winiveria
www.winiveria.ge
winiveria
2006




2.10

# კააში

ცეკვა

აქრამ ჰანის კომპანია, დიდი ბრიტანეთი
(2002 წელს დადგმული ცეკვის განახლებული ვერსია)

# KAASH

Dance

Akram Khan Company, UK
(Revival of the 2002 full-length work)

ცეკვა დაიდგა და პირველად შესრულდა 2002-2004 წლებში თავდაპირველი ვერსიის ავტორები იყვნენ: აქრამ ჰანი, რეიჩელ კრისჩი, მოია მაიკლი, ინ ფანგ ოი, შანელ ვინლოქი და ეულალია აიგუადე ფარრო

Material originally devised and performed by (2002-2004) Akram Khan, Rachel Krische, Moya Michael, Inn Pang Ooi, Shanell Winlock and Eulalia Ayguade Farro

ხანგრძლივობა: 55 წუთი
რეჟისორი და ქორეოგრაფი: აქრამ ჰანი
კომპოზიტორი: ნითინ სავჰნი
სცენოგრაფია: ანიშ კაპური
განათება: აიდენ მალონი
კოსტუმები: კიმი ნაკანო
ფოტოგრაფი:
ჟან-ლუი ფერნანდესი

შემოქმედებითი ჯგუფი:
თანმხლები მუსიკა - ჯონ ოსვალდის „სპექტრი“ კვარტეტ „კრონოსის“ შესრულებით
ხმოვანი თანხლება - აქრამ ჰანი; ბ.ს. მანჯუნათი
ხმის რეჟისორი - ბერნჰარდ შიმპელსბერგერი
პროდიუსერი- ფარუქ ჩოდჰრი
განახლებულ ცეკვაში მონაწილეობს ხუთი მოცეკვავე
ასრულებენ: კრისტინა ალეინი, სადე ალეინი, სანგ ჰუუნ კიმი, ნიკოლა მონაკო, სარა სერნეო
რეპეტიციების ხელმძღვანელი - ანდრეი პეტროვიჩი
მხარდამჭერები: ეულალია აიგუადე ფარრო, მოია მაიკლი და იენ-ჩინგ ლინი
ტექნიკური დირექტორი - რიჩარდ ფაგანი
ტექნიკოსები - ალექს კასტრო, პიტერ სვიკერი
გასტროლების მენეჯერი - მაშითაჰ ომერი

Duration 55 Minutes
Artistic Direction and Choreography Akram Khan
Composer Nitin Sawhney
Set Design Anish Kapoor
Lighting Design Aideen Malone
Costume Design Kimie Nakano
Photographer Jean-Louis Fernandez

Artistic Team
Additional Music 'Spectre' by John Oswald played by The Kronos Quartet
Voice Akram Khan, B C Manjunath
Sound recording Bernhard Schimpelsberger
Produced by Farooq Chaudhry
Revival for 5 dancers
Performed by Kristina Alleyne, Sadé Alleyne, Sung Hoon Kim, Nicola Monaco, Sarah Cerneaux
Rehearsal Director Andrej Petrovic
With the support of Eulalia Ayguade Farro, Moya Michael and Yen-Ching Lin
Technical Director Richard Fagan
Technicians Alex Castro, Peter Swikker
Tour Manager Mashitah Omar

## აქრამ ჰანი

თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი და აღიარებული მოცეკვავეა. მისმა დადგმებმა უკანასკნელი დეკადის განმავლობაში დიდი წვლილი შეიტანეს ხელოვნების განვითარებაში როგორც დიდ ბრიტანეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. აქრამ ჰანის ინსტიქტი და ბუნებრიობა თანამშრომლობაში მაგნიტივით იზიდავს მსოფლიო კლასის ხელოვანებს სხვადასხვა კულტურებიდან. აქრამ ჰანის ცეკვები ამაღელვებელია. ავტორის მიერ თხრობის სტილი არის დახვეწილი, იდუმალი და ეპიკური. გაზეთ ,,ფაინენშალ თაიმზის" შეფასებით ,,აქრამ ჰანი არის ხელოვანი, რომელიც უმნიშვნელოვანეს ამბებს უდიდესი სიღრმით გადმოსცემს".
აქრამ ჰანს მიღებული აქვს მრავალი ჯილდო - მათ შორის, ლოურენს ოლივიეს პრემია; არის რამდენიმე უნივერსიტეტისა და აკადემიის საპატიო წევრი. 2005 წელს მიენიჭა ბირტანეთის იმპერიის წევრის წოდება ცეკვის დარგში შეტანილი წვლილისათვის.
დღესდღეობით აქრამ ჰანი ასევე არის ლონდონის ცეკვის თეატრის Sadler's Wells-ის ასოცირებული წევრი.

## ანიშ კაპური

თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გავლენიანი მოქანდაკე - ანიშ კაპური დაიბადა ბომბეიში, 1954 წელს. ამჟამად, ცხოვრობს და მოღვაწეობს ლონდონში. მისი პერსონალური გამოფენების სია უკანასკნელ პერიოდში მოიცავს: შაკიპ საბანჩის მუზეუმი (სტამბოლი; 2013 წ.), მარტინ-გროპიუს-ბაუს მუზეუმი (ბერლინი; 2013 წ.), სიდნეის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი (2012 წ.), პარიზის გრან პალეს (2011 წ.), მუმბაის მეჰბუბის სტუდიასა და ნიუ დელის თანამედროვე ხელოვნების ეროვნულ გალერეაში. 2011 წელს მან ტერნერის პრემია მოიგო. იგი მსოფლიოს რამდენიმე უნივერსიტეტის საპატიო წევრია. ანიშ კაპურმა წარმოადგინა ბრიტანეთი ვენეციის 44-ე ბიენალეზე (1990 წ.), რისთვისაც რემიო უემილა დაიმსახურა.
ანიშ კაპურის მნიშვნელოვან ქმნილებებს წარმოადგენენ: „ღრუბლის კარიბჭე" Cloud Gate (2004) ჩიკაგოს მილენიუმის პარკში და „ორბიტა" (2012) - ლონდონის ოლიმპიურ პარკში. მისი „ნოეს კიდობანი" კი წარმოადგენს მსოფლიოში პირველ გასაბერ საკონცერტო დარბაზს, რომელიც შეიქმნა ლუცერნის ფესტივალისთვის იაპონიაში. ანიშ კაპური 1999 წელს აირჩიეს სამეფო აკადემიის წევრად, 2011 წელს მიიღო საიმპერიო პრემია რემიუმ იმპერიალე, 2012 წელს კი - პადმა ბჰუშანის პრემია. 2013 წელს მიენიჭა რაინდის წოდება დედოფლის დაბადების დღის აღსანიშნავად.

## სპექტაკლის შესახებ

აქრამ ჰანმა 12 წლის წინ შექმნა „კააში" უკვე ცნობილი ტალანტების ანიშ კაპურისა და ნითინ სოვნის მონაწილეობით. პირველი წარმოდგენა მათ ერთად 2002 წელს შექმნეს - სპექტაკლში წარმოდგენილი იყო ინდური ღმერთები, შავი ხვრელები, ტაბლები, ანუ აღმოსავლური დოლები, ინდური დროის ციკლები, ნაჩვენები იყო შექმნა და განადგურება. სპექტალში მონაწილეობდა უცხოელ მოცეკვავეთა ძალიან ძლიერი გუნდი. კააში ინდურად ნიშნავს ,,ნეტავ". ამ ცეკვით აქრამ ჰანი ცდილობდა ხიდის გადებას თანამედროვე ცეკვასა და ინდურ კლასიკურ ცეკვა- ,,კათჰაკ" შორის.
„2002 წლის დადგმაში მქონდა პატივი მეთანამშრომლა ანიშ კაპურსა და ნათინ სოვნისთან. „კააშს" განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩვენს შემოქმედებასა და ჩვენს გულებში. ახლა კააში გაცოცხლდა. ჩვენი ხუთი საერთაშორისო დონის მოცეკვავე ახალ შუქს მოჰფენს ამ სპექტაკლს და ახალ სულს ჩაუდგამს მას. ამჟამად, აქცენტი კეთდება სხეულის მოქნილობასა და სიზუსტეზე, რაც დარწმუნებული ვარ, დღესაც საკმაოდ მნიშვნელოვანია" - აქრამ ჰანი.

## მხარდამჭერები

კააშის შექმნაში დიდი წვლილი შეიტანეს ორგანიზაციებმა: Southbank Centre (ლონდონი), Tramway (გლაზგო), Vooruit (გენტი), Sampad (ბირმინგემი), ანცეასტ (იპსვიჩი), კრეტეის ხელოვნების სახლმა, ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ვექსნერის ხელოვნების ცენტრმა დორის დიუკის საქველმოქმედო ფონდის მხარდაჭერით. დადგმას უდიდესი დახმარება გაუწიეს The Quercus Trust-მა, The Jerwood Space-მა და irmingham DanceXchange-მა.
2014 წლის კააშის აღდგენილ ვერსიას დახმარება გაუწია ლონდონის ტრინიტ ლეიბენის მუსიკის და ცეკვის კონსერვატორიამ.





AKRAM KHAN

Akram Khan is one of the most celebrated and respected dance artists today. In just over a decade he has created a body of work that has contributed significantly to the arts in the UK and abroad. An instinctive and natural collaborator, Khan has been a magnet to world-class artists from other cultures and disciplines. Khan's work is recognised as being profoundly moving, in which his intelligently crafted storytelling is effortlessly intimate and epic. Akram Khan is described by the Financial Times as an artist "who speaks tremendously of tremendous things". Khan has been the recipient of numerous awards throughout his career including the Laurance Olivier Award. He is honorary Fellow of Trinity Laban. In 2005 Khan was awarded an MBEW for service to dance. Khan is an Associate Artist of Sadler's Wells, London.

ANISH KAPOOR

Anish Kapoor is one of the most influential sculptors of his generation. He was born in Bombay in 1954 and lives and works in London. Recent major solo exhibitions include Sakıp Sabancı Museum, Istanbul (2013); Martin-Gropius-Bau, Berlin (2013); Museum of Contemporary Art, Sydney (2012); Le Grand Palais, Paris (2011); Mehboob Studios, Mumbai and National Gallery of Modern Art, New Delhi (2010); He represented Britain at the 44th Venice Biennale (1990), for which he was awarded the Premio Duemila. He won the Turner Prize in 1991 and has honorary fellowships from several institutes. His major permanent commissions include Cloud Gate (2004) for the Millennium Park in Chicago and Orbit for the London 2012 Olympic Park. In 2013 Ark Nova, the world's first inflatable concert hall, was launched for the Lucerne Festival in Japan. He was elected Royal Academician in 1999, awarded the Premium Imperiale in 2011 and the Padma Bhushan in 2012. He was knighted in the Queen's Birthday Honours in 2013.

NITIN SAWHNEY

Nitin is arguably the busiest, most versatile and sought after composer and producer around. As the holder of six honorary doctorates and three fellowships, he is now signed to Reservoir Publishing, has worked with a host of celebrated artists including Paul McCartney and Sting and has made nine studio albums, for which he has been nominated for a Mercury Music prize, won a MOBO, two BBC Radio 3 awards and a Southbank Show award. He has also received two Ivor Novello nominations.

He has scored over 50 films for cinema and television, with an Ivor Novello nomination for best score, leading to his much acclaimed orchestral music to the BAFTA-nominated BBC series, The Human Planet, Mira Nair's film The Namesake, three film scores for live performance by the London Symphony Orchestra, two acclaimed videogame scores and composition for Olivier winning theatrical and dance productions with Complicite and Akram Khan. Sawhney scored for Deepa Mehta's adaptation of Salman Rushdie's book Midnight's Children, Hitchcock's early silent movie The Lodger, Khyentse Norbu's Vara: A Blessing, Japan in a Day for Ridley and Tony Scott and more recently Polio Wars and a documentary about Nelson Mandela.

Sawhney released OneZero, in June 2013. This project is a live cut to vinyl and is a retrospective session consisting of tracks taken from Sawhney's nine album back catalogue, and a preview of tracks from his forthcoming album, 'Dystopian Dream' to be released in the summer of 2015. Sawhney hosts his own show for BBC Radio 2 – Nitin Sawhney Spins the Globe, the next series is to be aired in March 2015. Sawhney composed for the BBC's 5 part TV series Wonders of the Monsoon which aired in October 2014.




CELEBRATING

130 years

CONGRATULATIONS

*Years*

ANNIVERSARY



ABOUT THE PERFORMANCE

Akram Khan teamed up with the celebrated talents of Anish Kapoor and Nitin Sawhney to present his company's first full-length evening work thirteen years ago. "Hindu Gods, black holes, Indian time cycles, tablas, creation and destruction" were the starting points for this work in 2002. Danced by a strong international cast of performers, Kaash (Hindi word for "if only") continued Akram Khan's quest to build bridges between the worlds of contemporary dance and the Indian classical dance form Kathak.

"As our first full-length company piece back in 2002, where I had the great opportunity to collaborate with Anish Kapoor and Nitin Sawhney, Kaash holds a very special place in our journey and in our hearts, and I am excited that it is now our first ever revival. Our new five-strong cast of international performers will shed another light and energy on the piece, focused on physicality and precision, that I believe still has all its relevance today." – Akram Khan

SUPPORTER

Kaash was originally created with the generous support of Southbank Centre (London), Tramway (Glasgow), Vooruit (Gent), Sampad (Birmingham), DanceEast (Ipswich), Maison des Arts de Créteil, Wexner Center for the Arts at The Ohio State University with support from the Doris Duke Charitable Foundation. Kaash was also created with generous support from The Quercus Trust, The Jerwood Space and Birmingham DanceXchange. The 2014 revival of Kaash was supported by a residency at Trinity Laban Conservatoire of Music and Dance, London. Akram Khan is an Associate Artist of Sadler's Wells, London. Supported by Arts Council England
Akram Khan Company is represented by Sarah Ford / Quaternaire
www.quaternaire.org




caucasus BUSINESS WEEK
Be Informed...
Do Business...
The Leading English-language Weekly Covering Business and Economic Issues
Mobile phone: 591 013936;
Email: caucasianbusiness@gmail.com
www.cbw.ge



2 - 3.10

## ᲦᲛᲔᲠᲗᲔᲑᲘ ᲓᲐᲔᲪᲜᲔᲜ, ᲕᲘᲜᲦᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲪᲐᲕᲡ

დრამა

სელმა დიმიტრიევიჩი
Greyscale, დიდი ბრიტანეთი

## GODS ARE FALLEN AND ALL SAFETY GONE

Drama

Selma Dimitrijevic
Greyscale, UK

ხანგრძლივობა: 50 წუთი (შესვენების გარეშე)
რეჟისორი: სელმა დიმიტრიევიჩი
სცენოგრაფია: ოლივერ თაუნსენდი
ფოტოგრაფი იდილ სუკანი

მონაწილეობენ:
დედა - შაან კემპიონი
ქალიშვილი - სკოტ თარნბული

Duration 50 min. without intermissions
Directed by Selma Dimitrijevic
Designer Oliver Townsend
Photographer Idil Sukan/Draw HQ

Cast:
Mother – Sean Campion
Daughter – Scott Turnbull



ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

„Greyscale''- ი საერთაშორისო თეატრალური კომპანის სახლი ნიუქასლია. კომპანია აერთიანებს წარმატებულ რეჟისორებს, მწერლებს, მსახიობებს, დიზაინერებს და შემოქმედებს, რომელთა ინტერესია ახალი შესაძლებლობების კვლევა. კომპანიის მიზანია შექმნას ზუსტი სტრუქტურის მქონე, ძლიერი, ცოცხალი, პოლიტიკური და ანარქიული თეატრი, რადგან თანამედროვე მაყურებელს მობეზრდა მოსაწყენი სპექტაკლები.
ჩვენ ვმუშაობთ სხვადასხვა მიმართულებით და მოგვწონს ის აზრი, რომ ყველას უნდა შეეძლოს პროცესის პროვოცირება და არა მხოლოდ რეჟისორსა და მწერალს.

ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

